ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

გია ცეცხლაძე სხვა რაკურსით – ბაბუას დიდ სახელს გაჯიბრებული შვილიშვილის გეგმები

ამ ურთულეს, საერთო სახალხო რეფერენდუმის ხარისხში აყვანილ არჩევნებში, გია ცეცხლაძე პირველად მონაწილეობს მისთვის უჩვეულო სტატუსით, როგორც ოზურგეთის მერობის კანდიდატი, პარტია „საქართველოსთვის“ სახელით.

არჩევნებამდე სულ რამდენიმე დღეა დარჩენილი და ოზურგეთში, სადაც კონკურენცია საკმარისზე მეტად მაღალია, ტემპერატურის დუღილი უკვე საგრძნობია.

გიას აქტიური წინასაარჩევნო კამპანიების გამო გამოწვეულ დროის სიმცირეს, ახლა ყველაზე მეტად მისი უმცროსი შვილი, მაშო განიცდის. ამბობს, რომ მამას ხშირად ველარ ხედავს და სულ ენატრება. თუმცა, დიდი სურვილი აქვს, რომ გაიმარჯვოს, რადგან შვილისთვის მიცემული პირობა აქვს შესასრულებელი - ააშენოს მიუსაფარ ცხოველთა თავშეს-აფარი, რითიც ქუჩაში უპატრონოდ მიტოვებული ცხოვე-ლები შიმშილს და სიცივეს გადაურჩებიან:

მაშო ცეცხლაძე - **მამა** ადრე გადის სახლიდან და მე ვერ ვნახულობ. მერე, გვიან მოდის სახლში და ვერ ვეხუტები, სულ მენატრება, მაგრამ, მინდა მერი გახდეს. დამპირდა, რომ თავშესაფარს გავუკეთებ უპატრონოდ დარჩენილ ცხოველებსო.

თავად კანდიდატი გვიყვება, რომ ოზურგეთში იმდენი და ისეთი პრობლემები დახვდა, რისი წარმოდგენაც დღევანდელობისთვის ცოტა უჩვეულოდ და წარმოუდგენლადაც კი ეჩვენება, თუმცა ეს არ აშინებს. მთავარია, მათი გადაჭრის ბერკეტი ჰქონდეს, რაც ახლა მხოლოდ ხალხის ნებაზეა დამოკიდებული:

გივი (გია) ცეცხლაძე, ოზურგეთის მერობის კანდიდატი, პარტია „საქართველოსთვის“- როცა გადავწყვიტე, რომ ოზურგეთის მერობისთვის უნდა მებრძოლა, სულ სხვა ამბიციებით და თანამედროვე ხედვებით ვაპირებდი ჩამოსვ-ლას. მაგრამ, ხალხთან შეხ-ვედრების დროს სულ სხვა პრობლემები გამოჩნდა.

როგ-ორი სამწუხაროც არ უნდა იყოს, დღეს ხალხს აწუხებს ისეთი პრობლემები, რაზე საუბარი ცოტა უხერხულიც კია. ელემენტარული პირობებიც არ გააჩნიათ: სასმელი წყალი, კანალიზაცია, გარე განათება, მიუსაფარი ძაღლების პრობლემა, შიდა გზები...მაგრამ, არა უშავს. ეტაპობრივად, ჩვენ ამ პრობლემებს გადავჭრით და მივალთ იმ თანამედროვე ხედვებზეც, რომლის ამბიციაც მე მაქვს.

ის რომ გიას მისი მშო-

გვ-3

ალიონი

გურია

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 33 (10403) 30 სექტემბერი, 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ეს ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს

უკვე მეორედ დავიმსახურე ჩემი, ,,ქართული ოცნების" გუნდის განსაკუთრებული ნდობა, ვყოფილიყავი მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქალაქ ოზურგეთში. ეს ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს. ჩემს წინ დიდი გამოწვევებია, მაგრამ ვინც მიცნობს, იცის, არანაირ წინააღმდეგობას არ შეუძლია დამაბრკოლოს. ყოველგვარ სირთულეზე მაღლა დგას ჩემი სურვილი-ვიდგე იქ, სადაც ადამიანებს ვჭირდები და ვეიმედები.

დედა ვარ, ქალი ვარ, მასწავლებელი და ყველაზე კარგად ვგრძნობ რა აწუხებს, რა აფიქრებს ჩემს ამომრჩევლებს და რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის ჰყავდეთ შუამავალი, მხარდამჭერი, მეგობარი ადგილობრივ თვითმმ-ართველობაში.

რამდენადაც ცნობილია, ქალები მოსახლეობის ნახევარს წარმოადგენენ. ამიტომაც აუცილებელია მეტი ქალის მონაწილეობა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ქალთა გამოცდილებები, ბიოლოგიური თუ სოციალური ინტერესები გაცილებით უფრო პროდუქტიულს ხდის ჩვენს საქმიანობას. ვფიქრობ, მაქვს საკმაო კომპეტენცია და გამოცდილება თვითმმართველობის საკითხებში, რომ ვიზრუნო ჩემი ამომრჩევლების პრობლემებზე და საჭიროებებზე რომელიც მრავლად გვხვდება მუნიციპალიტეტში.

გვ-2

ოზურგეთს აფხაზეთი და სამაჩაბლო სტკივა

ალიონი. 27 სექტემბერი დიდი ტკივილია სრულიად საქართველოსთვის. სოხუმის დაცემის დღეს ოზურგეთში, საკათედრო ტაძრის მიმდებარე სკვერში, მემორიალთან, დილიდანვე შეიკრიბნენ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის მებრძოლი ოზურგეთელი ვეტერანები. ხელისუფლების წარმომადგენელთა გამოჩენამდე მათ ჟურნალისტებთან საუბარში გაიხსენეს თავიანთი თანამებრძოლები, გადაიღეს სამახსოვრო სურათები.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის მემორიალი და საქართველოს ეროვნული გმირის ზაზა დამენიას საფლავი ცოცხალი ყვავილების გვირგვინებით შეამკეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა, მერის მოვალეობის შემსრულებლის **ალექსანდრე სურგულაძის** თავკაცობით.

ცოტა ხანში სკვერში გურიის გუბერნატორი **გიორგი ურუშაძე,** მოადგილეები **ქეთი მოისწრაფეშვილი** და **ზაზა შოშიტაიშვილი** გამოჩნდნენ, მმართველი პარტიიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერობის კანდიდატ **ავთანდილ თალაკვაძესთან** ერთად, რომლებმაც ასევე ცოცხალი ყვავილების გვირგვინით პატივი მიაგეს ქვეყნისათვის თავდადებული მამულიშვილების ხსოვნას. გაესაუბრნენ საქართველოს ეროვნული გმირის დედას, დამსწრე საზოგადოებას.

სოხუმის დაცემის დღე მემორიალთან ყვავილების მიტანითა და ხსოვნის სანთლებით აღნიშნა სახალხო პარტიის ოზურგეთელთა ლიდერმა **შოთა გოგიბერიძემ** თანაპარტიელებთან ერთად.

ოზურგეთს, რომ აფხაზეთი და სამაჩაბლო სტკივა ეს კარგად გამოხატეს აქაურმა მოქალაქეებმა, როგორც უფროსმა თაობამ, ისე ახალგაზრდობამ.

ჩვენი იქ ყოფნის დროს (12 სთ) მემორიალთან და ეროვნული გმირის საფლავთან სხვა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლები არ გამოჩენილან.

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაიწყეთ ყოველი თვიშაბათი ალიონზე

«ალიონით»

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ეს ნდობა უდიდეს პასუხისმგებლობას მაკისრებს

პრობლემის იდენტიფიცირება ან მხოლოდ მოგვარების გზის პოვნა არ არის საკმარისი მის გადასაჭრელად.

თვითმმართველობაში აუცილებელია გქონდეს შენი გუნდის მხარდაჭერა მყისიერი და დროული რეაგირებისათვის. ამიტომაც მეიმედება ჩემი „ქართული ოცნების“ პოლიტიკური გუნდი თვითმმართველობაში, ღირსეული, გამორჩეული და საკუთარ ქალაქზე შეყვარებული ახალგაზრდა, მერობის კანდიდატი – ავთანდილ თალაკვაძე, რომელიც არის გარანტი, ოზურგეთი იყოს თანამედროვე, ინოვაციური, ყველაზე კრეატიული პროექტების ასპარეზი. ოზურგეთი და ოზურგეთლები ვიმსხურებთ უფრო მეტს, ვიდრე გვაქვს! მინდა ვისარგებლო შესაძლებლობით და ჩემს ამომრჩევლებს წინასწარ ვუთხრა მადლობა მხარდაჭერისთვის, ნდობისთვის, თანადგომისთვის!

2 ოქტომბერს ჩვენ ვცვლით რეალობას, ვირჩევთ მომავალს და ოზურგეთის ახალ შესაძლებლობებს!

ლელა საჯაია,
მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ქ. ოზურგეთის პირველ საარჩევნო ოლქში (ზვანიმოიდანახეს უბანში)

„მაქვს მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი“

მივესალმები გაზეთ „ალიონის“ ერთგულ მკითხველს. ჩემთვის დიდი პატივია ვიყო გაერთიანებული სოფლების დვაბზუს და ბახვის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში. მინდა მადლობა გადავუხადო პოლიტიკურ გუნდს „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ გამოცხადებული ნდობისთვის. არ არის მარტივი შეხვიდე დიდ ბრძოლაში, სადაც ძალიან რთული საარჩევნო გარემოა. მაქვს მოსახლეობის მხარდაჭერის იმედი და ვიმედოვნებ, მომეცემა შესაძლებლობა მუშაობა გავაგრძელო ხალხის საკეთილდღეოდ. სოფელ დვაბზუში და ბახვში ცენტრალური ხელისუფლების დახმარებით მნიშვნელოვანი პროექტები განხორციელდა. როგორიცაა: ბახვის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია, ბახვისა და ქვედა ბახვის წყლის სისტემის მოწყობა, მიმდინარეობს დვაბზუსა და მშვიდობაურის წყლის პროექტირების სამუშაოები. ჩემი პროგრამის პრიორიტეტი არის ახალგაზრდებისთვის საჭირო სივრცეების შექმნა და ახალგაზრდული პროექტების დანერგვა.ქალთა გააქტიურება და მეწარმე ქალების ხელშეწყობა. დვაბზუსა და ბახვში ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარება. ვგეგმავთ სოფელ დვაბზუს საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას. ვფიქრ-ობ, გამარჯვების შემთხვევაში ბატონ ავთანდილ თალაკვაძესთან ერთად შევძლებთ დვაბზუსა და ბახვში არსებული პრობლემების მოგვარებას., რადგან.ჩვენს გუნდს რეალურად შესწევს ძალა ვაკეთოდ საქმე.

მარი ჩხიკვიშვილი,
მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფელ დვაბზუსა და ბახვში.

„უნდა შევძლოთ ემიგრაციაში მყოფი ქალების საშობლოში დაბრუნება“

პანდემიით გამოწვეული რთული საარჩევნო პირობების მიუხედავად, შევძელი და სამივე სოფელი კარდაკარ შემოვიარე. ჩემთვის კარგად ნაცნობია ყველა ის პრობლემა, რაც სოფელს აწუხებს. სამივე სოფელში პრობლემები ერთნაირია. დღეს, ნაცვლად იმისა, რომ მთავარი საზრუნავი ოჯახების კეთ-ილდღეობა იყოს, პრობლემებად ისევ რჩება წყლით მომარაგების საკითხი, შიდა გზების მოწესრიგება, ყველა უბნის ტრანსპორტით ხელმისაწვდომობა, გარე განათების დამონტაჟება, სკვერების, სპორტული მოედნების მოწყობა.

სოფელ მელექედურის და სოფელ გურიანთის მოსახლეობა ითხოვს საბავშვო ბაღის მშენებლობას. პირველ რიგში, ეს პრობლემებია მოსაგვარებელი. ასევე, ხელი უნდა შევუწყოთ სოფლის ახალგაზრდების ჩართულობას სხვადასხვა თანადაფინანსების და საგრანტო პროექტებში.

ძალიან ბევრი ქალი, მათ შორის ახალგაზრდები, არიან ემიგრაციაში, უნდა შევძლოთ მათი დაბრუნება და დასაქმება. ვფიქრობ, პარტია „საქართველოსთვის“ არჩევნებში მონაწილეობით ეს არჩევნები უფრო კონკურენტული და საინტერესო გახდა.

რაც შეეხება წინასაარჩევნო გარემოს, ყველა კარგად ვხედავთ, როგორი დიდი რესურსის გამოყენება ხდება მმართველი პარტიის მხრიდან. ჩემთვის მიუღებელია დაუსაბუთებელი ბრალდებები და თავდასხმები პარტია „საქართველოსთვის“ ლიდერის გიორგი გახარიას და პარტიის წევრების მიმართ.

იმედი მაქვს, ამ არჩევნებით დასრულდება ერთპარტიული მმართველობა, შეიქმნება კოალიციური მთავრობა და დაიწყება ცვლილებები, რომლებიც მიმართული იქნება თითოეული ოჯახის კეთილდღეობისთვის.

მაია ზოიძე,
მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი სოფ. ოზურგეთში, გურიანთასა და მელექედურში პარტიიდან „საქართველოსთვის“

„ჩვენი პარტიული სიის პირველი ათეული საუკეთესოა

„ალიონის“ 31-ე ნომერში საგაზეთო ფართი უფასოდ დაეთმოთ დეპუტატობის კანდიდატებს თავიანთი აზრის გამოსახატავად თუ როგორია საარჩევნო გარემო და პირველ რიგში რას გააკეთებენ საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში. ობიექტური მიზეზების გამო ამ გამოკითხვაში მონაწილეობა ვერ მიიღო „სახალხო პარტიის“ ოზურგეთის ორგანიზაციის წარმომადგენელმა.

თეო გაგნიძე, კენჭს იყრის სახალხო პარტიიდან პროპორციული სიით:

–„საარჩევნო გარემო ზედმეტად პოლარიზებული და გართულებულია. ადამიანებს არ ეძლევათ მშვიდი არჩევანის გაკეთების საშუალება. სოციალური ქსელები და ტელემედია გამოხატავს მხოლოდ „ქართული ოცნებისა“ და „ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესებს. დაინტერესებული ვართ მშვიდი და კონსტრუქციული საარჩევნო გარემოთი, რათა მოსახლეობამ მოისმინოს ჩვენი პროგრამა და მხარი დაგვჭიროს როგორც ჩვენ,ასევე სხვა ახალამოქმედებულ მცირე პარტიებს.

საკრებულოს წევრად არჩევის შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, გენდერული საკითხის ფორმალურიდან პრაქტიკულზე გადმოყვანს ვეცდები, რისთვისაც ჩავერთვები შესაბამისი კომისიის და ფრაქციების საქმიანობაში. მიმაჩნია, რომ აქ უმთავრესი გენდერული მიმართულებით ზოგადი განათლების ამაღლებაა. გარდა ამისა, სახალხო პარტია ყველაფერს გააკეთებს საკრებულოს გადაწყვეტილებების მიღებაში ოზურგეთის მოსახლეობის მაქსიმალურად ჩასართველად, რითაც განხორციელდება კონსტიტუციური პრინციპი – ძალაუფლების წყარო არის ხალხი. ჩვენი მიზანია მრავალპარტიული თვითმმართველობის პირობებში მივიღოთ სამართლიანი და ჩვენს ხალხზე ორიენტირებული გადაწყვეტილებები.

მნიშვნელოვანი პრიორიტეტი იქნება ახალგაზრდობის ჩართულობის ამაღლების საკითხი. უნდა ვეცადოთ ისეთი ახალგაზრდული პროექტების განხორციელებას, რაც დამაგრებს ახალგაზრდებს ჩვენ რაიონში.

ზოგადად მიგვაჩნია, რომ ჩვენი პარტიული სიის პირველი ათეული საუკეთესოა ყველა შემოთავაზებული პარტიულ სიებს შორის. აქ ვგულისხმობთ არა მხოლოდ ახალგაზრდულ შემადგენლობას, არამედ ამ ახალგაზრდების სერიოზულ განათლებასა და სახელმწიფოებრივ აზროვნებას“.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

გია ცეცხლაძე სხვა რაკურსით – ბაბუას დიდ სახელს გაჯიბრებული შვილიშვილის გეგმები

ბლიური კუთხისთვის ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, კარგად იცის მისმა მეუღლემაც, რომელიც 17 წელია მის გვერდითაა და ყველა მის გადაწყვეტილებას, თუ გამოწვევას პატივს სცემს.

ნია დარწმუნებულია, რომ როგორც კარგი მამა, ერთგული მეგობარი და მეუღლე, გია გამორჩეული მერი და ხალხის გასაჭირის გულთან მიმტანი იქნება:

ნია ევგენიძე - **მართალი** გითხრათ, არ მემეტებოდა პოლიტიკისთვის. მაგრამ, მე მის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ და მის გვერდით ვიდგები ბოლომდე, იმიტომ, რომ ვიცი გიას ძალიან უყვარს ოზურგეთი და გამარჯვების შეთხვევაში ყველაფერს გააკეთებს, რომ ეს კუთხე ბევრად უკეთესი გახდეს.

კანდიდატის მამა, გელა ცეცხლაძე, რომელსაც ოზურგეთში კარგად იცნობენ, გვიყვება, რომ გიას შრომა ბავშვობიდანვე უყვარდა და მასში ის რესურსი ნამდვილად დევს, ოზურგეთელებისთვის უკეთესი ხვალინდელი დღის, ახალგაზრდებისთვის კი, ადგილზე ჯანსაღი და კონკურენტული გარემოს შექმნა რომ შეძლოს:

გელა ცეცხლაძე - ეზოში თითქმის ყველა ხე გიას დარგულია. როცა ვმუშაობდი, არ მაცლიდა, უნდოდა ყველაფერში მონაწილეობა მიეღო. საერთოდ, ბავშვობიდან ძალიან უყვარდა შრომა.

ჩემს შვილს აქვს იმის პოტენციალი, რომ, რა თქმა უნდა ახალგაზრდებთან ერთად, ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, ჩადგეს მხარის, ქვეყნის სამსახურში და გაუძღვეს იმ საქმეს, რაც ადგილზე ბევრ რამეს სასიკეთოდ შეცვლის - ეს იქნება სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშეწყობა, მეწარმეებისა და მცირე ბიზნესის გაძლიერება, ახალგაზრდების დასაქმება...

შვილის ხასიათიდან გამომდინარე, დედამ კარგად იცის, რომ გამარჯვების შემთხვევაში გია ყველა ოზურგეთელის მერი იქნება და მხოლოდ იმაზე ორიენტირებული, როგორ შეუმსუბუქოს ხალხს მათი მძიმე ყოფა და გასაჭირი. ეს მისი ხასიათის თვისებაა, - გვიხსნის თამარ კილაძე.

თამარ კილაძე - ძალიან პატარა ვიყავი გია რომ მეყოლა და შეიძლება ითქვას, ერთად გავიზარდეთ. ის ჩემი მარტო შვილი არ არის, ჩემი მეგობარია, გვერდში მდგომია.

ზოგადად, გია ძალიან კეთილი, მოსიყვარულეა. მტკივნეულად განიცდის ორპირობას, ღალატს..

მე ვფიქრობ, რომ თუ ოზურგეთი არჩევანს გააკეთებს მის სასარგებლოდ, ის ყველაფერს გაიღებს თავისი კუთხისთვის და თავისი ქალაქისთვის.

მთელი გურიისთვის პატივსაცემი და ანგარიშგასაწევი კაცის, ანზორ კილაძის შვილიშილობა გიას ყველაზე დიდ სტიმულს აძლევს, რომ ბევრი სასიკეთო საქმე აკეთოს. იმდენი და იმაზე მეტიც, რაც მისმა ბაბუამ შეძლო. ეს ჩემი ამბიციაცაა და მთავარი მიზანიცო, - გვითხრა საუბრის ბოლოს კანდიდატმა.

გივი (გია) ცეცხლაძე - **წინასაარჩევნო** პერიოდში ბევრ ხალხს ვხვდები და როცა იგებენ, რომ მე ვარ ანზორ კილაძის შვილიშვილი, ბაბუას მიერ გაკეთებულ ძალიან ბევრ კეთილ საქმეს იხსენებენ. ამით მე ამაყი ვარ და მაქვს ამბიცია, რომ მოვიპოვო ოზურგეთელების დიდი სიყვარული და მერე, ჩემ მიერ ნაკეთებ ბევრ კეთილ საქმეზე მოუყვენ ჩემს შთამომავლობას.

ფასიანი პოლიტიკური რეკლამა

ალეკო ბურჭულაძე - ჩვენი გუნდი ერთიანდება ღირებულებების ირგვლივ საქართველოსთვის!

ჩემო მეგობრებო, მოგეხსენებათ, სოციალურ ქსელში განსაკუთრებული აქტიურობით არ გამოვირჩევი.

მიუხედავად ამისა, არსებული ვითარებიდან გამომდინარე, მსურს მოკლედ გაგაცნოთ ჩემი პოზიცია.

ალბათ არავის გაგიკვირდებათ, რომ ჩემთვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა და მისი მოსახლეობის პრობლემები და გამოწვევები უცხო სულაც არ არის.

მოგეხსენებათ, პარტია „გახარია - საქართველოსთვის" ერთადერთი პარტიაა საქართველოში მზარდი რეიტინგით. აღნიშნული პარტიის მთავარი კონკურენტი ოზურგეთის მუნიციპალიტეტსა და ზოგადად, მთელს საქართველოში, მოსახლეობის წინაშე მდგარი პრობლემების ერთობლიობაა და არა კონკრეტული პოლიტიკური პარტიების კანდიდატები. მოხარული ვარ, რომ ჩემს მეგობრებთან და თანამებრძოლებთან ერთად, მომეცა საშუალება აქტიური წვლილი შემეტანა აღნიშნული პარტიის ოზურგეთის რეგიონული ოფისის ჩამოყალიბებაში - ჩვენ დინამიურ რეჟიმში გვიწევდა პარტიული ინფრასტრუქტურის მშენებლობა და ამასთან, აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარება.

სწორედ ამიტომ, ჩვენი გუნდი, ბატონი გიორგი გახარიას მეთაურობით, ერთიანდება ამ ღირებულებების ირგვლივ საქართველოსთვის - არავის წინააღმდეგ.

ოზურგეთის მერობის კანდიდატს, გია ცეცხლაძესა და პარტია „გახარია - საქართველოსთვის" ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ერთიან გუნდს გააჩნია კონკრეტული, მრავალპუნქტიანი გეგმა, თუ როგორ უნდა მოხდეს ჩვენს მუნიციპალიტეტში ისეთი პრობლემების გადაჭრა, როგორიცაა სიღარიბე, სამუშაო ადგილების სიმცირე, ინფრასტრუქტურული სიტუაციის საგრძნობლად მოწესრიგების აუცილებლობა და სხვა, რომლის შესახებაც მოსახლეობას აქტიურ, ყოველდღიურ რეჟიმში ვესაუბრებით.

ეს შეხვედრები არ არის ის, რაც, როგორც წესი, ჩვენს რეგიონსა და ზოგადად საქართველოში წინასაარჩევნო პერიოდს ფონად გასდევს - ჩვენი პოლიტიკური პრეფერენციების მიღმა მოსახლეობის სურვილები და საჭიროებები დგას, რასაც ინტერაქციულ რეჟიმში სწორედ მათთან ერთად განვიხილავთ.

ორიოდე სიტყვით გეტყვით იმასაც, რომ ჩვენი გუნდის კარი ღია იყო, არის და მუდამ იქნება ხალხისთვის, ვისთვისაც ღირებულია ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, მნიშვნელოვანია მისი გამოწვევები და აქვს სურვილი საკუთარი, თუნდაც მოკრძალებული, წვლილი შეიტანოს ჩვენი კუთხის განვითარებაში.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტს სჭირდება განვითარების გენერალური გეგმა, რომლის შესრულებასაც უნდა შევუდგეთ მოსახლეობის აქტიური ჩართულობით.

ერთხელ და სამუდამოდ, საფუძველი უნდა ჩავუყაროთ ისეთ კონკრეტულ პროცესებს ქალაქისა თუ სოფლის მშენებლობისა და განვითარებისას, რომელიც იქნება შეუქცევადი, მიუხედავად იმისა თუ ვინ იქნება ახალი ხელისუფალი, ყოველი შემდეგი არჩევნების შემდეგ.

მინდა აქვე მოვუწოდო ყველას, რომ ერთმანეთის კრიტიკას, ქილიკასა და ჭორაობას ჩამოშორდნენ - დროა ყველამ იფიქროს იმაზე, თუ რა არსებული გამოწვევების წინაშე დგას დღეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა და როგორ შეიძლება მათი ეფექტურად, მოკლე ხანში მოგვარება - ადამიანი ამ ქვეყნად სიღარიბისთვის არ დაბადებულა, ყველას აქვს უფლება დაუღალავად ისწრაფვოდეს საკუთარი მიზნებისთვის. სახელმწიფოსა და ხელისუფალის პოზიტიური ვალდებულება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ადამიანს დახმარების ხელი გაუწოდოს იქ, სადაც ამის საჭიროება არსებობს. ჩვენს რეალობაში კი, დამეთანხმებით, ასეთი ქეისი უამრავია. ხალხი უნდა გრძნობდეს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება დგას მათ სამსახურში, რისი გააზრებაც მაღალჩინოსნებს ხშირ შემთხვევაში უჭირთ.

დასასრულს, მინდა ღიად მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ჩვენს გუნდსა და პირადად მე, გვერდით დაგვიდგა/დამიდგა, საჯაროდ თუ შეფარვით, რაც კონკრეტულ შემთხვევებში გამართლებულიც კი არის, ვინაიდან სასწორის მეორე პინაზე მათი და მათი ოჯახების კეთილდღეობა დევს. ვერ ვიტყვით, რომ არაფერი გაკეთებულა, თუმცა ფაქტი ფაქტად რჩება - არსებული ტემპი და ხარისხი არ არის საკმარისი და გამოწვევების შესაბამისი. მჯერა, რომ არჩევნების შემდეგაც, ყველა ჯანსაღად და პრაგმატულად მოაზროვნე ადამიანი იპოვის სივრცეს თანამშრომლობისთვის იმ მიზნებისთვის, რაც უპირველესად მოსახლეობის საჭიროებებიდან და ინტერესებიდან გამომდინარეობს.

დარწმუნებული ვარ, 2 ოქტომბერს ამომრჩეველი გააკეთებს არჩევანს პარტია „გახარია - საქართველოსთვის" კანდიდატის, გია ცეცხლაძის სასარგებლოდ, საარჩევნო ნომრით - 25, რაც საშუალებას მოგვცემს, დავიწყოთ გარდამტეხი განახლებების სრულიად ახალი ეტაპი - სწორედ ის, რაც ასე ძალიან სჭირდება ჩვენს მუნიციპალიტეტსა და ზოგადად ჩვენს ქვეყანას.

ალეკო ბურჭულაძე,

პარტია „გახარია-საქართველოსათვის" პროპორციული სიით საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი

დაწყებულია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები

გურიის რეგიონში დაწყებულია სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოები. სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე **ზაზა შოშიტაიშვილი** ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ შრომაში სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებს შეხვდა და გაეცნო სტიქის სალიკვიდაციო სამუშაოებს, რომელსაც საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის კუთვნილი მძიმე ტექნიკა ანხორციელებს, რისთვისაც მათ დიდი მადლობას უხდიან.

სტიქიის შედეგად ოზურგეთისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს მნიშვნელოვანი ზიანი მიადგა. ძლიერი წვიმის შედეგად დაიტბორა საკარმიდამო ნაკვეთები, საყანე ფართობები. ჩამოწოლილმა მეწყერმა დააზიანა შიდასასოფლო გზები და საცხოვრებელი სახლები. სტიქიის ზონებში ზარალის დამთვლელი კომისია მუშაობს, ზარალის დათვლის დასრულების შემდეგ დაზარალებულ მოსახლეობას შესაბამისი დახმარება გაეწევა.

ასკანის ციხის რეაბილიტაცია დაიწყება

ოზურგეთში ასკანის ციხის რეაბილიტაცია დაიწყება – ამის შესახებ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა თეა წულუკიანი ოზურგეთში იმყოფებოდა, სადაც „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატის ავთანდილ თალაკვაძის წინასაარჩევნო შეხვედრებს დაესწრო და მოქალაქეებს მხარდაჭერისკენ მოუწოდა.

–„ასკანის ციხე უნიკალური ძეგლია, რომლის რეაბილიტაციის მიზნითაც რამდენიმეწლიან პროექტს ვამზადებთ“ – განაცხადა **თეა წულუკიანმა.**

–„ეს ისტორიული პროექტი იქნება ოზურგეთისთვის. ჩემი მერობის პირობებში, მაქსიმალურად ვიზრუნებთ ასკანის ციხის ტურისტული და ეკონომიკური პოტენციალის განხორციელებისთვის, რაც სოფელ მთისპირს დამატებით განვითარებას და შემოსავალს მოუტანს. გზის და დამხმარე ინფრასტრუქტურის განვითარებას ოზურგეთის მერია უზრუნველყოფს“ – განაცხადა **ავთანდილ თალაკვაძემ** მთისპირში მოსახლეობასთან შეხვედრაზე.

ასკანის ციხე (თამარის მეფის ციხე) ოზურგეთში, მდინარე ბახვისწყლის მარცხენა ნაპირზე, სოფელ მთისპირში მდებარეობს. ციხეზე გამოიყოფა რამდენიმე სამშენებლო ფენა, რომელთაგან უძველესი IV საუკუნისაა, უახლესი — XIX საუკუნისა. სამეცნიერო ექსპედიცია ციხეზე არასდროს ყოფილა და ის დღემდე შეუსწავლელი იყო. გადმოცემის თანახმად ციხეზე ულაშქრია მურვან-ყრუს. მას გასჭირვებია ციხის აღება და უბრძანებია, უნაგირები და კეხები მოეხსნათ ცხენებიდან, ერთმანეთზე დაეწყოთ და ასე ასულიყვნენ ციხეში. მეციხოვნეებს გავარვარებული ისრები უსვრიათ და უნაგირებისთვის ცეცხლი გაუჩენიათ. მურვან ყრუს ლაშქარი უკან გაბრუნებულა, მეციხოვნეები გამოსდევნებიან და ბრძოლაში მურვანს მუზარადი დაუკარგავს. გადმოცემის მიხედვით მუზარადი დიდხანს ინახებოდა ციხის ეკლესიაში. მურვან ყრუს ლაშქრობას გურიაში ქართლის ცხოვრება ადასტურებს.

ბოლო ცნობების თანახმად, 1828 წელს ასკანის ციხეში იყო გამაგრებული სოფიო გურიელი, რომელიც გურიაში რუსეთის მმართველობის დამკვიდრების წინააღმდეგ იბრძოდა. 30 სექტემბერს ასკანის ციხე რუსეთის ჯარმა დაიკავა. 1870-იან წლებში ციხეში შემორჩენილი იყო ძვირფასი ნივთები, ფული, ავეჯი. ციხე აღჭურვილი იყო ქვემეხებით, რომლებიც XX საუკუნის 30–იან წლებში შემდეგ ოზურგეთში წაიღეს.

რა არის ვაქცინაციის გამოწვევები

ალიონი. გასულ შაბათს ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის ჯანმრთელობის ხელშეწყობის მტავარმა სპეციალისტმა, კოვიდინფექციის კომუნიკაციის ჯგუფის ხელმძღვანელმა **მარინა თოფურიძემ** შეხვედრა გამართა თემაზე: „ვაქცინაციის გამოწვევები, მიღწევები, ამოცანები“.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით გამართულ დისკუსიაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებ,ა, ჟურნალისტებმა. პასუხი გაეცა დისკუსიის მონაწილეთა კითხვებს.

ნაგომარში ავტოსაგზაო შემთხვევას მოზარდი ემსხვერპლა

სოფელ ნაგომარში, ოზურგეთი-ჩოხატაურის ცენტრალურ გზაზე, ავტოსაგზაო შემთხვევას ოფელ ნაგომარში მეათე კლასის მოსწავლე, 15 წლის გ. მ. ემსხვერპლა

არსებული ინფორმაციით, მოზარდი მიკროავტობუსიდან ჩამოვიდა და სახლში მიდიოდა, რა დროსაც საპირისპირო მხრიდან მოძრავი მიკროავტობუსი დაეჯახა.

ადგილზე მისულ სასწრაფო დახმარების ჯგუფს მოზარდი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

შემთხვევის ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

მთისპირის და ჯუმათის სრული გაზიფიცირება მოხდება

მთისპირის და ჯუმათის სრული გაზიფიცირება მოხდება – ცვლილება საქართველოს მთავრობის 1716 განკარგულებაში შევიდა ოზურგეთში, მთისპირისა და ჯუმათის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების სრული გაზიფიცირება მოხდება. შესაბამისი ცვლილება საქართველოს მთავრობამ 1716 განკარგულებაში უკვე შეიტანა. მთისპირი, ოქროსქედი, ვანისქედი, უკანავა მთისპირის ადმინისტრაციული ერთეულიდან, ხოლო ჯუმათი, ძირიჯუმათი, ბოგილი, იანეთი ჯუმათის ადმინისტრაციული ერთეულიდან მთავრობის განკარგულების თანახმად სრულად გაზიფიცირდება. განკარგულებაში ასევე, დამატებულია გოგიეთი და დვაბზუს ნასაკირალის უბანი.

დასუფთავების აქცია ბახმაროში

ალიონი. კურორტ ბახმაროში, დასუფთავების აქცია გაიმართა.

აქციის ორგანიზატორი „ბახვი 1“ ჰესის პროექტის განმახორციელებელი კომპანია **CCEH HYDRO VI** იყო და მასში მონაწილეობდნენ აღნი-შნული კომპანიის თანამშრომლები, ჰიდროელექტროსადგურის გარემოსდაცვით და სოციალურ საკითხებზე მომუშავე მრჩეველთა საბჭოს წევრები. ასევე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (**CENN**), სოციალური საწარმო „3 საამქრო“ და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლები. დასუფთავების აქციაში მონაწილეობდნენ გაზეთ „ალიონის“ და „გურია ნიუსის“ ჟურნალისტებიც.

ვინაიდან მთასი მოთოვა და ბახმაროს შესასვლელში თოვლი იდო, აქცია უშუალოდ კურორტის ტერირორიაზე გაიმართა. აქციის მონაწილეებმა დაასუფთავეს ე.წ. „ბაზრის“ მიმდებარე ტერიტორია, მშენებლობის ქუჩის გზისპირეთი და მოედნის ტერიტორია, დაახლოებით 2 ჰექტრამდე ფართობი.

როგორც კომპანია **CCEH HYDRO VI**-ის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა **ნიცა ჩოლოყაშვილმა** გვითხრა, ამ აქციის მიზანი, ერთის მხრივ, ბახმაროს გარკვეული მონაკვეთების დასუფთავება, მეორეს მხრივ კი, გარემოსდაცვითი ცნობიერების ამაღლება და სწორი მართვა იყო.

გაზეთმა „ალიონთან“ ამ აქციის შესახებ კომენტარი გააკეთა კომპანია **CCEH HYDRO VI**-ის გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მენეჯერმა **დავით მიქელაძემ:** –„ ჩვენი კომპანია, „ბახვი 1“ ჰესის მშენებელი კომპანია **CCEH HYDRO VI** ზრუნავს გარემოზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე. ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივი გარემო იყოს ეკოლოგიუარ სუფთა და ნარჩენებისგან თავისუფალი.სწორედ აქედან გამომდინარე კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელის (**CENN**), სოციალური საწარმო „3 საამქრო“ და სამოქალაქო საზოგადოების სხვა წარმომადგენლებთან ერთად ორგანიზება გავუკეთეთ ამ აქციას. რაც მთავარია, მასში ჩართული იყო „ბახვი 1“ ჰესის მრჩეველთა საბჭოს წევრები.

ამ აქციას 17 სექტემბერს –მსოფლიოს გლობალური დასუფთავების დღეს ვგეგმავდით, მაგრამ არახელსაყრელი ამინდების გამო ეს აქცია გადაიდო, მაგრამ მიხარია, რომ ეს აქცია განვახორციელეთ. აქციაზე სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლ-ეობა, მოხალისეები გამოვედით და ერთიანი ძალისხმევით, წინაწარ შერჩეული ადგილები დავასუფთავეთ.

მართალია ნაადრევმა თოვლმა მცირედით შეცვალა აქციის გამართვის გეგმა, მაგრამ რაც მთავარია, აქცია შედგა. იგი არ იქნება ერთჯერადი და კურორტის ტერიტორიაზე კვლავ გავმართავთ მსგავს აქციებს –განაცხადა მიქელაძემ.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს

საქართველოს ეროვნულ საბჭოს სხდომა

ოსების წარმომადგენლის სიტყვა

გიორგი გაგლოევი: ამხანაგებო და მოქალაქენო!

ამ ტრიბუნაზე მე განვიცდი იმავე გრძნობას, რომელსაც განიცდით თქვენ. ეს გასაგებიც არის. მე ვარ წარმომადგენელი არა მარტო ოსებისა, არამედ საქართველოს ეროვნულ საბჭოს წევრიც. თვით ეს ფაქტი ამტკიცებს, რომ ამ ორ ერს შორის არის ისეთი კავშირი, რომელიც აერთებთ მათ. ჩვენ გვწამს, რომ საქართველოს დემოკრატია თავის დროშას დაბლა არ დაუშვებს. საქართველოს დემოკრატიასთან ერთად ამ დროშის ქვეშ ივლის ჩვენი დემოკრატიაც,

ამ იმედებით აღჭურვილი მივესალმები ამ კრებას. იმედია, საქართველო აიცდენს იმ განსაცდელს, რომელიც მას მოელის გარეშე მტრისაგან.

ქართველ მაჰმადიანთა წარმომადგენლის სიტყვა

ჰაიდარ ბეი აბაშიძე: ძვირფასო ძმანო! დღეს თქვენი მოძმე ქართველი მაჰმადიანები გილოცავთ საქართველოს განთავისუფლებას. გილოცავთ მრავალტანჯულ საქართველოს დამოუკიდებლობას!

ჩვენი გული ნაღველით ივსება, როდესაც ვიგონებთ, რომ სამაჰმადიანო საქართველო დღეს თუ არა ხვალ ჭირშიც და ლხინში თქვენთან იქნება.

მაშ, გაუმარჯოს დღეს ამ საქართველოს, შემდეგ კი ეროვნულ-ტერიტორიულად შეკავშირებულ საქართველოს!

გერმანიის კაიზერის რწმუნებულის სიტყვა

(*თარგმნა გერმანულით გერონტი ქიქოძემ*)

თუმცა მე ჩემი მთავრობისაგან არ მაქვს ოფიციალური დავალება, მაგრამ მე პირადად მოგილოცავთ დამოუკიდებლობის დამყარებას და ვუსურვებ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს ყოველივე სიკეთეს და წარმატებას!

ამიერკავკასიის გერმანელთა წარმომადგენელი

(თარგმნა გერმანულით გერონტი ქიქოძემ)

ფრიკი ულოცავს კრებას საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას; გამოსთქვამს სურვილს, რომ საქართველო აღსდგეს ნანგრევებიდან, განახლდეს, როგორც ფენიქსი (ფასკუნჯი) და ბოლოს ერთ ტაძარში გამოსჭედოს თავის ბედი.

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკას!

კრების დახურვა

თავმჯდომარე: კრების სახელით მადლობას ვუცხადებ მათ, ვინც ჩვენ მოგვილოცა და კრებას ვხურავ.

(კრება საღამოს 5 საათსა და 55 წუთზე იხურება)."

საქართველოს დამოუკიდებლობის ა ქ ტ ი

მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს, ყოველ მხრით მტრისგან შევიწროვებული საქართველო, თვისის ნებით, შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდის რევოლიუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შეჰქმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დაუტევა ამიერკავკასია.

დარჩნენ რა თვისის ძალღონის ამარად, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იდვეს თავს საკუთარი საქმეების გაძღოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შეჰქმნეს; მაგრამ, გარეშე ძალთა ზედგავლენით, ამიერკავკასიის ერთა შემაერთებელი კავშირი დაირღვა და მით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველ ერის დღევანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შეჰქმნას, მისის საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელ განვითარების მტკიცე საფუძველი ააგოს.

ამისდა თანახმად საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ **აცხადებს:**

1. ამიერიდგან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელ საქართველოს პოლიტიკური ფორმა - დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.



4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰსურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით-კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5.საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავისს საზღვრებში თანასწორად უზრუნველჰყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალურ მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელის საქართველოს მართვაგამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით, და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე.

1. შალვა ალექსი-მესხიშვილი
2. ნოე რამიშვილი
3. გიორგი ჟურული
4. გიორგი ლასხიშვილი
5. გრიგოლ ვეშაპელი
6. ივანე ლორთქიფანიძე
7. კოწია გვარჯალაძე
8. დავით ჩიქოვანი
9. ნოე ხომერიკი
10. ლეონტი ჟღენტი
11. პეტრე გელეიშვილი
12. თედორე კიკვაძე
13. დავით ვაჩნაძე
14. ტიტე მარგველაშვილი
15. მინადორა ტოროშელიძე
16. ნოე ჟორდანია
17. ვლ. გობეჩია
18. პავლე საყვარელიძე
19. ისიდორე რამიშვილი
20. სილიბისტრო ჯიბლაძე
21. ა. ჭიაბერაშვილი
22. ვლასა მგელაძე
23. გიორგი გვაზავა
24. იოსებ მაჭავარიანი
25. ალექსანდრე ახმეტელი
26. კოტე მესხი
27. რაფიელ ჩიხლაძე
28. მელიტონ რუსია
29. დავით ონიაშვილი
30. დ. ჯავახიშვილი
31. შალვა მიქელაძე
32. რაჟდენ მ. არსენიძე
33. პ. საბაშვილი
34. ჰაიდარ აბაშიძე
35. ილია გოგელია
36. ი. ა. ბარათაშვილი
37. კ. ი. ჯაფარიძე
38. მ. კლიმიაშვილი
39. პავლე ინგოროყვა
40. იას. ლორთქიფანიძე
41. ვასო წულაძე
42. ექვთიმე თაყაიშვილი
43. ალ. ბ. მდივანი
44. გრიგოლ რცხილაძე
45. ქრ. რაჭველიშვილი
46. ილიკო ბადრიძე
47. ა. ქილანთაროვი
48. ბიქტორ თევზია
49. ივ. ლევ. ჩერქეზიშვილი
50. გერონტი ქიქოძე
51. (?)
52. ვასილ წერეთელი
53. რეზო გაბაშვილი
54. ალექსანდრე ასათიანი
55. სამ. ფირცხალავა
56. ლევან ასათიანი
57. დ. უზნაძე
58. ვ. ბურჯანაძე
59. მ. ზანდუკელი
60. ნიკო ელიავა
61. აკაკი პაპავა
62. სვიმონ მაჭავარიანი
63. არ. ჯაჯანაშვილი
64. იოსებ აბაკელია
65. იოსები სალაყაია
66. კონსტ. დავარიშვილი
67. კალე ქავთარაძე
68. არსენ მამულაიშვილი
69. კონსტანტინე მაყაშვილი
70. ნოე ცინცაძე
71. ალექსანდრე ლომთათიძე
72. იოსებ გობეჩია
73. გრიგოლ ნათაძე
74. ფილიპე გოგიჩაიშვილი
75. მიხეილ მაჩაბელი
76. ვიქტორ ნინიძე
77. თ. კონსტანტ. ნიკ. აფხაზი.
78. გერასიმე მახარაძე
79. გრიგოლ ქურდიანი
80. ირაკლი წერეთელი
81. ილიკო ფირცხალაიშვილი
82. ივ. გობეჩია
83. შალვა ქარუმიძე
84. გიორგი ერაძე
85. ვასო ცაბაძე
86. ნიკოლოზ ჩხეიძე
87. ევგენი გეგეჭკორი
88. გიორგი ანჯაფარიძე

(იბეჭდება 1919 წლის გამოცემის მიხედვით: "26 მაისი, 1918. საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. თბილისი, 1919").

ვახტანგ გურული
საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფო (1918)გვ. 164-168

იუბილარი

95 წლის იუბილარს, დაბადების დღეს ვულოცავ ქალბატონ ბაბუცა აბხაზაძეს.

ვუსურვებ მას ჯანმრთელობას, ხასაც ახლა, ასაჯის გამო, ძალიან უჩივის. ღმერთმა დიდხანს უმყოფოს შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და ყველა მისი ჯეთილისმსურველი ადამიანი.

გულსუნდა მახარაძე.

სულთათანა

ძმა სერგო ქვილორია, რძალი იამზე ნიკოლაშვილი, შვილები ლადო და ნანა ქვილორიები, რძალი ეკატერინე ვასაძე, სიზე გოჩა ციტაიშვილი ოჯახებით იუწყებიან **ეთერი ლავრენტის ასული ქვილორია-ბოლქვაძის** გარდაცვალებას.

დაკრძალვა შედგა 23 სექტემბერს, სოფელ ზემო ნატანებში.

ჩვენი ნანა ექიმი იუბილარია!



ოზურგეთის „მედალფას“ ცნობილი ექიმი რადიოლოგი, ოზურგეთელთა საყვარელი და საამაყო პიროვნება, უფრო თბილად რომ ვთქვათ, ჩვენი ნანა ექიმი, საექიმო წრესა და საზოგადოებაში ერთ-ერთი სახელდებული პერსონა, ქალბატონი **ნანა ტრაპაიძე** იუბილარია. მისი ნებართვით, ასაკსაც გაგაცნობთ – 80 წლისა გახდა.

ვულოცავთ!!!

თითქმის ნახევარი საუკუნეა, ქართულ მედიცინაში მოღვაწეობს. სამედიცინო ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ 8 წლის განმავლობაში იღვწოდა სოფელ ნაგომრის საექიმო ამბულატორიაში. შემდეგ ოზურგეთში განაგრძო თავისი პროფესიული საქმიანობა. 1975 წლიდან ოზურგეთის ცენტრალური საავადმყოფოს, ხოლო ოზურგეთში მედალფას კლინიკის დაფუძნების შემდეგ, ამ სამედიცინო დაწესებულების ექიმი რადიოლოგია.

პაციენტთან რომ განსაკუთრებული ურთიერთობით გამოირჩევა, ეს მთელმა ოზურგეთმა, მათ შორის ამ სტრიქონების ავტორმაც, კარგად იცის.

„ჩემსა და პაციენტს შორის ურთიერთობაში, პაციენტი ყოველთვის ნომერ პირველია, იმიტომ, რომ ის მთავარია, მისი დახმარება ჩემი უპირველესი მიზანია და ბედნიერი ვარ, როცა ეს ურთიერთობა კარგად მთავრდება. როცა ვერ ვშველი, ერთადერთი, რასაც ვაკეთებ ისაა, რომ იმედს ვაძლევ, ვანუგეშებ. ამ დროს ხან ტყუილიც კი დამიხეთქებია, რომელსაც, ალბათ, შემინდობს უფალი“.

ჰუმანური თვისება და პროფესიონალური ღირსება თავისთვის უმძიმეს დღეებშიც (მეუღლისა და შვილის გარდავვალება) არ დაუკარგავს, მაშინაც პაციენტის გამოჯანმრთელებაზე იყო ორიენტირებული.

ქალბატონი ნანა პრინციპულად არ ეთანხმება თანამედროვე მოსაზრებას, რომ პაციენტმა ყველაფერი უნდა იცოდეს:

„სასტიკად არ ვეთანხმები თანამედროვე მედიცინაში დამკვიდრებულ მოსაზრებას, რომ პაციენტმა, განსაკუთრებით ისეთმა ემოციურებმა, როგორიც გურულების უმეტესობაა, ყველაფერი უნდა იცოდეს თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ და მას პირდაპირ უნდა ეთქვას სათქმელი. ერთ ასეთ სამწუხარო ამბავს გავიხსენებ: ჩემი ამხანაგის მამა და ძმა მივიდნენ ექიმთან. ექიმმა მამა გასინჯა, გაისტუმრა და ძმას უთხრა დარჩიო. მამამ იფიქრა რაღაც განუკურნებელი მჭირსო და ონკოლოგიურიდან თავით გადმოეშვა.. დამეთანხმებით, ალბათ, რომ ყველაფრის არც ჩვენება შეიძლება, არც თქმა და არც დაწერა.“

რაც თავი ახსოვს, ხელოვნების დარგებიდან მხატვრობა უყვარს განსაკუთრებულად. გამორიცხულია, რომ ოზურგეთის სამხატვრო გალერეაში რომელიმე გამოფენა არ ნახოს. თავისი ფავორიტებიც ჰყავს ქართულ მხატვრობაში:

„საამაყოა, რომ ოზურგეთში ხელოვნების ეს *დარგი ყოველთვის მაღალ დონეზე იდგა. რასაკვირველია, გამორჩეული მხატვრებიც მყავს, ვახო გოგუა, დიდი ავთო ვარაზი, ოთარ ჩხარტიშვილი, რომელიც როცა ოზურგეთში ჩამოდიოდა, ყოველთვის ჩემთან იყო; გერონტი ღლონტი, რომელიც ჩემი პაციენტი და მეგობარი იყო“.*

კითხვაზე იცნობს თუ არა სხვა ნანა ტრაპაიძეს, მპასუხობს:

„როგორ არა, თბილისში მოღვაწეობს წარმატებული ექიმია, ოზურგეთის კოლორიტის, ბატონი რენო ურუშაძის ცოლისდაა“.

ძალიან გაუხარდა, როცა „ლიტერატურული გურიას“ მეცხრე ნომერი გადავეცით და მასში მისთვის უცნობი, მესამე ნანა ტრაპაიძის ლექსები ნახა.

ოთხი საფიცარი შვილიშვილი ჰყავს, ოთხივე გოგონა, თავისუფალი დროის უმეტეს ნაწილს სწორედ მათთან ურთიერთობას უთმობს.

არ უყვარს პოლიტიკა და ამ ბოლოს ნამეტნავად მოძალებული, ურთიერთგამომრიცხავი, ღვარძლით სავსე პოლიტიკური ინფორმაციები. ამ თვალსაზრისით, მედიის, განსაკუთრებით ტელევიზიების მიმართაც აქვს შენიშვნა. მისი აზრით, დღევანდელი მედია ღვარძლის გაღივებას უწყობს ხელს და არა სიტუაციების დასტაბილურებას.

მოკლედ, ასეთია ჩვენი ნანა ექიმი, ვისთანაც საუბარი ყოველთვის სასიამოვნო და საინტერესოა, თუმცა საამისო დრო ნაკლებად რჩება, პაციენტები ელოდებიან.

თემურ მარშანიშვილი

ვალერი ჩოლობარგია

ლაითურელი ხელოვანი, რომელიც მერაბ ბერძენიშვილთან და ზურაბ წერეთელთან მუშაობდა

ხელოვანი ადამიანის როლი განუზომელია ქვეყნისა თუ ერის წინსვლაში. ნამდვილ ხელოვანებს ყველა დროში სათანადოდ ვერ აფასებდნენ. სამწუხაროდ, ზოგჯერ ასეა დღესაც. შესაბამისად, ასეთი ადამიანების ცხოვრების გზა არასდროსაა იავარდებით მოფენილი, პირიქით, ბევრის ხვედრი სიღარიბეა, მაგრამ ეს მათ არ აბოროტებთ, რადგან უანგარო სიყვარული ხელოვნებისადმი და ღირსეული ადამიანობა ფულზე არ იყიდება.

ერთ-ერთი ასეთი პერსონაა ბატონი **ვალერი ჩოლობარგია,** ადამიანი, ვისი მუზაც სუფთა იყო და ყოველთვის სუფთა დარჩება. უპირველესად, სწორედ ამ ნიშნით და უნიკალურობით გამოირჩევა მისი ნამუშევრები.

ვალერი ჩოლობარგია დაბა ლაითურში ცხოვრობს, ამჟამად, მეფუტკრეობას მისდევს, თავისუფალ დროს კი, რაც ნაკლებად რჩება, ხელოვნების ნიმუშებს ქმნის.

სახვითი ხელოვნებით მისი გატაცება ბავშვობიდან დაიწყო, მერე ეს გატაცება სიყვარულში გადაიზარდა, დღეს კი ამ საქმიანობის გარეშე სიცოცხლე ვერ წარმოუდგენია.

არ უყვარს ბევრი საუბარი, მით უფრო საკუთარ თავზე. მითხრა, რომ ისწავლა მხატვრული მოზაიკა და გარკვეული დროის განმავლობაში მუშაობდა გენიალურ ხელოვანებთან მერაბ ბერძენიშვილთან და ზურაბ წერეთელთან. ორივემ მათთან დარჩენა შესთავაზა. რა თქმა უნდა, გაუხარდა ეს შეთავაზება, მაგრამ ოჯახი მარტო ვერ დატოვა და ლაითურში დაბრუნდა. უყვარს მშობლიური ლაითური, სადაც ჩვეულებრივი რიგითი ადამიანის ცხოვრებით ცხოვრობს. მისი აზრით, ადამიანის წარმატების ფორმულა შემდეგში მდგომარეობს: „რა საქმესაც ხელს მოჰკიდებ, ბოლომდე უნდა მიიყვანო.

ზოგადად, სამწუხაროა, რომ ხელოვანი ადამიანის ფასს ძალიან გვიან ვხვდებით და გვიან ვაფასებთ ხოლმე, მაგალითისთვის ნიკო ფიროსმანის ცხოვრებაც გამოდგება.

შორს აღარ წავალ და იმედს ვიტოვებ, რომ ფუტკარივით მოფუსფუსე, მხცოვანი ხელოვანის მრავალფეროვან ნაღვაწს საზოგადოება ღირსეულად შეაფასებს და დააფასებს.

ნათია სურმანიძე.

ძმები მამულაიშვილები – ალექსანდრე, შოთა და ყაისარი

ძმები - ალექსი, შოთა და ყაისარი ერთ - ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლები იყვნენ გურულ მომღერალთა შორის. ისინი კარგად ფლობდნენ გურულ ფოლკლორულ, თუ სახასიათო სიმღერებს.

მე ხშირად მინახავს და მომისმენია მათი გამოსვლები ოზურგეთის თეატრის სცენასა, თუ სხვადასხვა შეხვედრებზე.

ძმები მამულაიშვილების ტრიო განსხვავდებოდა სხვებისგან თუნდაც მანერით, თუნდაც იმიტომ, რომ მათ გავლილი ჰქონდათ ცნობილი მომღერლის და ლოტბარის ვარლამ სიმონიშვილის სკოლა. ისინი სოფელ შემოქმედიდან იყვნენ.

უფროსი ძმა ალექსი 1924 წელს დაიბადა, გარდაიცვალა 2012 წელს. იგი ვარლამის გუნდის წევრი იყო და სწორედ მან შთააგონა ძმებს გურული სიმღერების ვარლამისებური მანერა და გემოვნება.

შოთა 1926 წელს დაიბადა, გარდაიცვალა 2006 წელს. იგი გურულ სიმღერას კარგად უთავსებდა პარტიულ საქმიანობას. ძმებთან ერთად სიამოვნებას ანიჭებდა მსმენელებს.

ყაისარ მამულაიშვილი 1928 წელს დაიბადა, გარდაიცვალა 2006 წელს. ის სოფელ შემოქმედში მუშაობდა ფერმის გამგედ. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ყაისარი თავკაცი იყო ძმებს შორის, სიმღერის დროს.

საერთოდ, მინდა ვთქვა, რომ ძმებმა მამულაიშვილებმა საუკეთესო ფურცელი ჩაწერეს გურული სიმღერის აღდგენისა და განვითარების საქმეში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ძმები.

ტრისტან სიხარულიძე
ხელოვნების ქურუმი

გაზეთის შემდეგი ნომერი გამოვა ორშაბათს, 10 ოქტომბერს

7 დღის ამინდის პროგნოზი

30 სექტემბერი, სამშაბათი	1 ოქტომბერი, სამშაბათი	2 ოქტომბერი, ოთხშაბათი	3 ოქტომბერი, ხუთშაბათი	4 ოქტომბერი, პარასკევი	5 ოქტომბერი, შაბათი	6 ოქტომბერი, კვირა
წვიმა +11+15	წვიმა +11+17	მზე, ღრუბელი +9+19	მზე, ღრუბელი +12+21	წვიმა +10+17	წვიმა +13+21	წვიმა +11+19

ორშაბათი